

საქართველოს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პოლიტიკა
აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების დარეგულირების
მიმართულებით

დემნა დევდარიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების
მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა - საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ტარიელ სიხარულიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დემნა დევდარიანი

_____ 12.02.2015

სარჩევი

სარჩევი	3
აბსტრაქტი	4
ძირითადი საძიებო სიტყვები / აბრევიატურების ჩამონათვალი	5
შესავალი	4-8
ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები - თეორიული ასპექტები	9-15
კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში	16
- კონფლიქტის განვითარების დინამიკა 1990-2004 წლებში	23-30
აფხაზეთის ომი - კონფლიქტის ანალიზი	30-39
საქართველო რუსეთის ომი - 2008 წლის აგვისტოს მოვლენები	40-42
ექსპერტთა ანალიზი შემნილ ვითარებასთან დაკავშირებით	43-48
რეკომენდაციები საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებით	48-50
დასკვნა	50-51
გამოყენებული ლიტერატურა	52-53

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს კრიტიკულად შეაფასოს საქართველოს სახელმწიფოს მიერ 1990-2003, 2003-2012 და 2012 წლიდან დღემდე შემუშავებული და განხორციელებული პოლიტიკა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებისა და არსებული კონფლიქტების დარეგულირების მიმართულებით.

ნაშრომი აერთიანებს თვისობრივი და შედარებითი კვლევის მეთოდებს, გამოყენებულია დარგის ესპერტებთან ინტერვიუები, ყოფილ და მოქმედ პოლიტიკოსთა საჯარო გამოსვლები, განხილულია სახელმწიფო/პოლიტიკური დოკუმენტები.

შესწავლილია ორი ქეისი - საქართველოს შიდა კონფლიქტები მის ორ სეპარატისტულ რეგიონებთან: აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან. აგრეთვე, განხილულია რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად შექმნილი ერთადერთი სამედიაციო პლატფორმა „ჟენევის სამშვიდობო მოლაპარაკებები“ და ის სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ხორციელდება აღნიშნული პლატფორმის ეფექტურად გამოყენების მიმართულებით.

ნაშრომში ცალ-ცალკეა შეფასებული საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა კონფლიქტის დარეგულირების მიმართულებით. პირველი პერიოდი მოიცავს 1990-2003 წლებში „სამხრეთ ოსეთსა“ და აფხაზეთში განვითარებული მოვლენების დეტალურ აღწერას და იმ ნაბიჯებს, რომელიც გადადგა მაშინდელმა ხელისუფლებამ კონფლიქტის თავიდან აცილების მიმართულებით და შემდგომ. ნაშრომის მომდევნო ნაწილი ეთმობა 2003 წლიდან 2012 წლამდე, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ მიმდინარე მოვლენების ანალიზს და განიხილავს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს, ასევე ხელისუფლების მხრიდან წარმოებულ პოლიტიკას თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებთან ურთიერთობის ნორმალიზაციის მიმართულებით. მესამე ნაწილი ეთმობა 2012 წლიდან დღემდე, საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან გადადგმულ ნაბიჯებს ნდობის აღდგენისა და კონფლიქტის დარეგულირების მიმართულებით.

ყველა ზემოაღნიშნული ეტაპი კრიტიკულად ფასდება და იზომება ეფექტურობის, რეალისტურობისა და გრძელვადიან პერსპექტივაში პოლიტიკურად მომგებიანობის თვალსაზრისით.

ძირითადი საძიებო სიტყვებია: კონფლიქტის დარეგულირება, ოკუპაცია, საქართველო, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, საერთაშორისო მედიატორები, „ჟენევის სამშვიდობო მოლაპარაკებები“

აბრევიატურების ჩამონათვალი:

გაერო - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

ეუთო - ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია

OAS - ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია

EU - ევროკავშირი

CIS - დსთ / დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა

UN – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

OSCE - ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია

CIS PKF - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალები

UNSG - გაერთიანებული ერების სპეციალური დესპანი

SRSG - გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი

UNOMIG - გაერთიანებული ერების სადამკვირვებლო მისია საქართველოში

EUMM - ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია

ESDP - ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა